# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

| | |
|---|---|
| წლიურად | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურად | 1 აბაზი |

ცალკე ნომერის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეიძლება ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

№ 76

წელიწადი პირველი

— 1912 —

შაბათი, 29 დეკემბ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. შილაძის სახლში, (შოთაურის შვილების მოწყვეტილი სახლის პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



ახა, მოსწიეთ პაპიროსი

15 ცალი 6 კ.

„ა ნ ი"

25 ცალი 2 შაურათ

აქციონ. საზოგ. თამბ. ქარხ. „მირი".

ახა, მოსწიეთ პაპიროსი

20 ცალი 1 შაურათ

„ბელაია რომაშკა"

20 ცალი 1 შაურათ

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".

ფართლეულობის ვაჭრობა „რომანოზ ქრისტეფორეს-ძის მახარაძის" ფოთლისფერთა ქუჩაზე

პირველი ქრისტეშობისთვიდან მოკლე ვადით ნიშნავს

დიდს იაფ ვაჭრობას ყოველგვარ საზამთრო ფართლეულისას, როგორც შალეულობისა, აგრეთვე ბამბეულისას, რომლის ფასებში პატივცემული მუშტრები დიდს განსხვავებას დაინახავენ. პატივისცემით რომანოზ ქ. მახარაძე.


ივანე მარკოზის ძე კაპანაძე და მეუღლე მისი ნადია კონსტანტინეს (კიკია) ადანაძისა, ასული და თავად შემოქ ასული კაპანაძისა ღრმათ იუწყებიან ნათესავებს და ნაცნობებს გადაცვალებას ძვირფასი სიძისა, მამიდის შვილის დისწულის

ყორყიკასას (გიორგი)

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზე დასასწრებლად, შაბათს, 29 დეკემბერს, ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათზე. ბინა ქუჩა, სიმონ ჩხეიძის სახლი. დაკრძალვა მოხდება სოფლის საფლავზე. (ცალკე წერილები არ დაიგზავნება)


## პირდაპირ ნახევარ ფასად იყიდება!

ახლად მიღებული საქონელი შემთხვევით ნაყიდი და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უცხოეთის მოდის, გაიყიდება დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოკრიაშვილის შენობაში ახლადგახსნილ მაღაზიაში მეორე სართულზე, სადაც იყიდება შემდეგი ახლად მიღებული საქონელი: ძალიან ყოველგვარი შეფერილი ქსოვილები 5 მან. დაწყებული ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც სურვებთ; ქუდები, ქალის და ბავშვების ყოველგვარი ზალები, საშუადღეოდ და სახალხო ... კაცის და ბავშვების საყვავილე ფირთები, მორთულობა, ზეწრები ... ქვედა წელისა და სხვ. სამგზავრო ნივთები, ქალის და ბავშვის ... ბეწვეული, კაცის, ქალისა და ბავშვის, რედინკოტები, პლედები, სარკეები და ... წვრილმანი ნივთები ... და სხვა მრავალი ... საზოგადოებისა, რომ ახლავე ... მობრძანდეს ... ყოველგვარი საქონელი ... მიიღებს ... ყოველი საჭირო ...

ფასები ხელმისაწვდომია და უცვლელი.

პატივისცემით ა. ახალკიანი.


## ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების

მეორე საზოგადო წევრთა საგანგებო კრება დანიშნულია 30-ს ამა დეკემბერს 1912 წელს დილით კვირას 11 საათზე ხონის სავაჭრო ბროფესიონალური შენობაში; ეს კრება კანონიერი იქნება თანახმად წესდების § 35 რამდენი წევრიც უნდა დაესწროს და მისი დადგენილება იქნება სავალდებულო ყველა წევრისათვის

### საგანი კრებისა:

გადადება დამტკიცება ფულის ბანკის შენობისათვის


## კოოპერატიულ მაღაზიაში

ოფიცერთა გვერდით.

სადღესასწაულოდ მიიღება ყოველნაირი ხაზეკარეთი, საჭამ სამოსი და სხვა საქონელი და აგრეთვე სასმელები როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთული.

ყიდვა შეუძლია როგორც წევრებს, ისე არა წევრებს. ფასები ზომიერია, საქონელი პირველი ხარისხისა.

გამგ. საზ. „ერთობისა" გამგეობა.

ფართლეულობის მაღაზია

ქუთაისში ზ. ს. ბუტულოვისა ქუთაისში

გიმნაზიის ქუჩა, ს. რიგინაშვილის. ბულვარის პირად.

გაცხადებთ პატივცემულ საზოგადოებას რომ ამა დეკემბრის 8—24-ან ვნიშნავთ

# საშობაო დიდ იაფ-ფასიან ვაჭრობას

პატივისცემით ზ. ს. ბუტულოვი.


შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

აქამდე ბეჭდილი გამოუქვეყნებელი სავსებით გამოცემა.

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები, (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ნაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა. ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდაც შეიძლება სამ ნაწილად. 3 მან. ხელის მოწერისთანავე 3 მ. ქვეყნისთვის და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 160 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10 პროცენტი დაეთმობა. გასაყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელნი წიგნს დაუგზავნება 1913 წელში. წიგნის დაკვეთა შეიძლება: თფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, აქამ მიხეილ გედევანიშვილთან და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში. თფილისში ავენტი დანიშნულია ნიკოლოზ ლომკინისის ძ. კვნიძე. ქუთაისში—წ. კ. ს. ... სამტრედიაში—ი. სტერიანთან, სიღნაღში—აქ. ჯანდიერთან. სოხუმში—ნიკო ... ბათუმში—ს. მეთვეთან. ... ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—... მოთავსება ... ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს გამოგზავნის, ... თვითონ ფოსტის კვიტანცია.

## სადღესასწაულო რეპერტუარი

ქართული თეატრი.

შაბათს, 29 დეკემბერს 1912 წ.

# ქრისტინე

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული 4 მოქმ. ქრისტინეს როლს შეასრულებს—მ. მდივანი, ასული დათოსი— ვ. აბაშიძე.

კვირას, 30 დეკემბერს 1912 წ.

დილით:

## სიყვარული და სამშობლო

(სახლის ფასით) ისტ. დრ. 5 მოქმ.

ოთხშაბათს, 2 იანვარს 1913 წ.

ა. ცაგარლის 10 წლ. გარდაცვალების აღსანიშნავათ.

## რაც გინახავს ველარ ნახავ!

კომ. 3 მოქმ.

ხუთშაბათს, 4 იანვარს 1903 წ.

დილით:

## ქვრივის მეფე ნავერიისა

5 მოქმ.

კვირას 6 იანვარს 1913 წ.

სუმბათაშვილი:

# ღალატი

დრ. ლეგ. 5 მოქმ.

ადმინისტრატორი ვ. ვურუშაძე.





# იულიუს სააკე

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით განათებისა

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. ღამბათოვის მაზრისა ამ შენიერ სანთლების ფარნებისა

იგაი ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18

ორშაბათიდან, 3 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 24 დეკემბრამდე

სავაჭრო სახლი

# ი. მ. ვართანოვი და ამხ.

ნიშნავს

დიდ საშობაო იაფ ვაჭრობას.

## ქირავდება

სამი ოთახი საკუთარი სამზარეულოთი და დიდი ფართო ეზოით. მისამართი: საპიჩხია, ძველი პოლიციის ქუჩა, კონსტანტინე ლევიძესთან, № 17.

**აქიმი.** გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადავიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

## ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსავლელად. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**აქიმი** ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**აქიმი ი. ჩარექოვი.** იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7. ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი ოსელიანის სახლი.

ქ ბ ი ლ ი ს **აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჩიჩინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას სახლი.

**აქიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

დღეს, 29 დეკემბერს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში დანიშნულია

# მასკარადი საჩუქრებით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

# ქრონიკა

— ადრიანოპლი კრიტიკულ მდგომარეობაშია შეიარაღებული მცხოვრებლები თხოულობენ ეს სიმაგრე ბულგარეთს დაუთმოთო.

— რადგანაც სერბიამ ალბანეთის შესახებ ავსტრიის წინადადება მიიღო, ავსტრიამ რუსეთთან მოლაპარაკება შეწყვიტა.

— ბალკანეთის მოკავშირე სახელმწიფოები ოსმალეთისაგან კონტრიბუციათ 60 მილიონ გირვანქა სტერლიგს თხოულობენ.

— ავსტრიამ რუსეთს წინადადება მისცა—სერბიის მფარველობაზე ხელი აიღეო. რუსეთმა ეს წინადადება არ მიიღო.

— მშვიდობიანობის კრებაზე, როდესაც მსჯელობა ადრიანოპოლის დათმობაზე მიდგა ოსმალებმა ამ დათმობაზე უარი გააცხადეს. მოსალოდნელია—კრება ისე დაიშალოს, რომ მშვიდობიანობის დამყარება ვერ შეძლოს.

— დიდი სახელმწიფოები ოსმალეთს ურჩევენ—დაუთმე და საქმე მორიგებით გაათავეს.

— რუმინია ბულგარეთს დობროდუჯის დათმობას სთხოვს. შესაძლებელია, ბულგარეთმა რუმინიის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

— პარტამ ლონდონში თავის დელეგატებს აცნობა: შეატყობიეთ დიდი სახელმწიფოებს, რომ ოსმალეთი დათმობის გზას ადგია, ხოლო ადრიანოპოლს კი ვერავის დაუთმობს. გვირჩევნია ომი, ვიდრე ადრიანოპოლის დათმობაო.

— პ. მილიუკოვი ბანკანეთს წავიდა ბალკანეთიდან კადეტების ლიდერი ვენას მივიდა აქ მას მრავალი გაზეთის წარმომადგენლებმა ინტერვიუ გაუკეთა.

— ოსმალეთის დელეგატმა ლონდონში გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულა.

— პეტერბურგში გაიხსნა ქალთა განათლების ასპარეზზე მოღვაწეთა კრება. კრების თავჯდომარეთ ყოფილი სახალხო განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი აირჩიეს.

— ოსმალეთის მართველ წრეებში გადაწყვიტეს—ომი გაგძელდეს. ქამილფაშა სამსახურს თავს ანებებს.

— შავმთიელეთის მეფემ თავის ჯარს ბრძოლაში ერთგულობისა და მამაცობისათვის მადლობა გამოუცხადა.

— ჯამაგირის მიუღებლობის გამო, ჩინეთში არეულობაა. ჯარისკაცები ქუჩაში თოფს ისვრიან. მოკლეს 32 კაცი. ბევრი ბანკი გაცარცვეს. სახლებიც ბევრი გადაიწვა.

— ხმაა—ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმაშევი და მისი ამხანაგი სამსახურს თავს ანებებსო.

— სევასტოპოლში 136 მეზღვაურის საქმის გარჩევა მოსპეს.

— მემარჯვენე პროფესორებს კრება აქვთ. კრებამ სასურველათ სცნო ახალი საუნივერსიტეტო წესდების შემუშავება.

— ტომსკის ქალაქის საბჭომ 100 ათასი მანეთი გადადვა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში სასოფლო სამეურნეო განყოფილების მოსაწყობათ.

— მოსკოვში აქიმთა კრება დაიხურა. შემდეგი კრება 1913 წელს პეტერბურგში მოხდება.

— სოციალდემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების გამო სოციალდემოკრატებმა გადაწყვიტეს დააარსონ ახალი ორგანო. ამ ორგანოში სხვათა შორის პლეხანოვი და ალექსინსკი მიიღებს მონაწილეობას.

— ,,პრავდა'' 500 მანეთით დააჯარიმეს; ,,ლუჩს'' კონფისკაცია უყვეს.

— სახელმწიფოები მამადიანის ალბანეთის თავადათ დანიშვნაზე თანახმა არ არიან.

## ,,მერცხლის'' არამკითხე მასწავლებელნი, იაგელლო და კარლო ჩხეიძე.

იმისთანა საქმე არ უნდა დაიქადო, რომლისთვისაც ღონე არ შეგწევს, თვარა სირცხვილში ჩავარდები. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო", ამბობენ. „ბრიყვი და უგუნურები თავში უდგიან ჰკვიანებს, გაქრეს ეს წამი ბარემლა, ნეტაი რას იგვიანებს", ჩივის ჩვენი დიდებული მგოსანი.

ნეტაი ვიცოდე, რა რჯისთ „მერცხლის" უმეცარ „მწერლებს," ლექციებს რომ გვიკვითხვენ?! მაგრამ ან კი რა საკითხავია: მათი უსირცხვილობა ხომ მათს უმეცრებას უდრის.

ამ უმეცარმა „მწერლებმა" ჯერ განაცხადეს, პოლონეთის არცერთი სოციალისტური პარტია არ აღიარებს სეპარატიზმსო. და, როდესაც „პ. პ. ს." გავახსენეთ, მაინც კიდევ ჯიუტობენ და გვეუბნებიან: „პ. პ. ს." ორ ნაწილათ არის გაყოფილი, „პრავიცა", მართალი, პოლონეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, მაგრამ „ლევიცა" მხოლოდ ავტონომიასო.

და, თავისი შეცთომა რომ გადააფუჩეჩონ, ახლა იფიცვენ, ,,პ. პ. ს.'' მარტო ,,ლევიცას'' ქვიაო.

სცრუობთ ,,მერცხლის'' „მწერლნო," როგორც ყოველთვის.

სახელოწოდება ,,პ. პ. ს.'' უფრო ,,პრავიცას'' ეკუთნის ვიდრე ,,ლევიცას,'' რადგან ,,პრავიცას'' არ შეუცვლია არც პროგრამა და არც ტაკტიკა იმ პარტიისა, რომელიც 1892 წელს დაარსდა და სახელათ დაერქვა ,,პ. პ. ს.'' 1905 წლიდან ამ პარტიის ერთმა ნაწილმა რყევა იწყო და 1906 წელს დედა-პარტიას გამოეთიშა. აი ამ ჩამოშორებულ ნაწილს დაერქვა ,,ლევიცა''. ,,ლევიცა'' თითქმის გასოციალ-დემოკრატდა, რადგან საყოველთაო გაფიცვის ყოვლად შემძლებლობა აღიარა და პოლონეთის დამოუკიდებლობა უარყო.

და ,,მერცხალი'' რომ სჩმახავს, ვითომ ,,პ. პ. ს." (,,პრავიცა'') პოლონეთში უმნიშვნელო პარტია იყოს, პირიქით, მას ყოველთვის დიდი გავლენა და ძალა ქონდა და აქვს ახლაც. ამას გარდა ავსტრიისა და გერმანიის პოლონელ სოციალისტებსაც მისი პროგრამა აქვთ და მხოლოდ დიპლომატიურ პოლიტიკური მოსაზრების გამო უწოდებენ თავს სოციალ-დემოკრატებს. და რუსეთის „პ. პ. ს." (,,პრავიცა'')მათთან მჭიდრო ორგანიზაციული კავშირით არის შეკავშირებული.

ეჰ, ,,მერცხლის'' არა-მკითხე მასწავლებელნო! ვინ მეჩექმე და ვინ პურისმცხობელი! ვინ თქვენ და ვინ მასწავლებელი! და, ხომ გაგიგონიათ, ,,არა მკითხე'' მეამბეს რა დღე დააყენეს?!

მაგრამ, ნუ დაიზარებთ, ცოტა ხანს კიდევ დამიგდეთ ყური და მოისმინეთ იაგელლოს არჩევის ამბავი, რომელიც მშვენიერათ ახასიათებს სოციალ-დემოკრატების ზნეობრივს რყევასა და ორპოფობას.

იაგელლო მუშა არის და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის (და არა ,,ლევიცას,'' როგორც ,,მერცხალი'' ბძანებს). მის კანდიდატურას თანაუგრძნობდა ,,ლევიცა'', მაგრამ, რადგან ვარშავის ბურჟუა-ებრაელების მიერ იყო არჩეული, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ერთმა ნაწილმა (,,მეუმრავლესეებმა'') ხელი კრა. რატომ? მართალია, იაგელლო ებრაელთა ბურჟუაზიამ აირჩია (40 ებრაელ ამრჩევლისაგან თეთრი მიიღო და 30 ქრისტიანისაგან შავი), ისიც მართალია, რომ ის, სოციალდემოკრატი, პოლონეთის სოციალდემოკრატიამ უარყო, როგორც ბურჟუაზიის მიერ არჩეული, მაგრამ მაგივრათ ,,ლევიცამ'' ხომ შეივრდომა და თანაუგრძნო. და ეს გარემოება ნუთუ საკმაო არ იყო, რომ ,,მეუმრავლესეებს'' შეეწყნარებიათ თავისი ამხანაგების მიერ უარყოფილი დეპუტატი?!

მაგრამ, ვსთქვათ, ,,მეუმრავლესენი'' მკაცრათ და სასტიკათ იცვენ და აფასებენ პრინციპს. დავეთანხმოთ ერთს წამს, რომ დეპუტატი-სოციალისტი უთუოდ მუშების ან სოციალისტების მიერ უნდა იქნეს არჩეული. მაგრამ მაშინ რატომ არ დაიწუნეს კარლო ჩხეიძეც, რომელიც სომეხთა ბურჟუაზიამ აირჩია?! განა იაგელლოს ამ მხრით იმაზე მეტი ცოდვა მიუძღვის?!

დიახ! საკვირველია ,,მეუმრავლესეთა'' საქციელი! ვერ გამიგია! რაც შეეხება აქაურ ,,დასელებს'', ისინი ხომ ბრძოლის დროს პრინციპებს არ დასდევენ და ყველაფერს უკადრისს კადრულობენ. და მათ შესახებ ზედგამოჭრილია უკვდავი რუსთველის სიტყვები: ,,კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?!''

ური.

## მერცხალი ა... ჭიკჭიკდა.

(იხ. ამ გაზეთის მე-7 №).

კარგათ მოგეხსენებათ, როცა ლამაზი, მშვენიერი, უნაკლულო არსება გამოჩნდება რომელსამე მიყრუებულს ადგილს, იმ მიდამოს მანდილოსანნი შეშფოთდებიან და ჩუმს ომს გამოუცხადებენ. ჯერ ყოველსავე ღირსებას დაუწუნებენ, მარტო ნაკლს მიათვისებენ. მერე, როცა იმათ ყბედობას გასავალი აღარ აქვს, მელაკუდურობას მოყვებიან ხოლმე:—„მართალია, ლამაზია, მარა... მის თვალებს გამომეტყველება არ აქვს".—ამბობს ერთი. „დიახაც რომ მშვენიერია, სახე ტურფა აქვს, მარა მის სახეს აუშნოებს ცხვირი"... და ამ გვარ ლათაიებს „შემოაპარებენ'' ხოლმე, შურით აღსავსე გულს ამით იოხებენ.

ასე ემართება ჩვენს ს.-დ-ებს.

იყო დრო, როცა დიდებული ილიას სახელი ყოველი სიბოროტის სინონიმათ გახადეს, ყოვლად უდიერათ ეკიდებოდენ მას.

წიწამურის კატასტროფამ ჩვენი ერი საგონებელში ჩააგდო და გამოაფხიზლა. ს.-დ.-ებს ძველი ლათაიები აღარ გამოადგათ და ახლა, შურის მაძიებელი მანდილოსნებივით, ილიას გახსენების დროს შხამით სავსე სიტყვებს ,,შემოგვაპარებენ'' ხოლმე.

ჩემი ლექციის გამო ,,მერცხალი'' ჯავრმორეული მანდილოსანივით მოიქცა: ოჰ, ილია დიდებულია და სხვადასხვა, მაგრამ... მისი ლიბერალიზმი თავ.-აზნაურულ ლიბერალიზმს არ გასცილებია... მაგრამ ლუარსაბი და დარეჯანი მაინც უყვარს და მათი მოყვარეა და არა მტერი, იმიტომ რომ მოთხრობაში ამბობს:—,,მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო''... ასეთი დასაბუთებული და დრმა აზრის რეცენზენტთან ლიტერატურულათ გამოკამათება მეტია. მინდა მხოლოდ ავღნიშნო ს.-დ-ების ახალი მიმართულება ილიას შესახებ, რომელიც ,,შემოპარების'' გზას ადგია.

არ ვიცი, რას ეტყოდა ილია თავის მეგობრებს, ცოცხალი რომ იყოს, მაგრამ მტრებს კი უსათუოდ ეტყოდა, რომ შესაძლო იყოს მისი გაცოცხლება: —მართალია, თქვენმა მტრობამ ჩემს სახელს ვერა დააკლო, კიდევაც განადიდა იგი, როგორც იუდას გაყიდვამ ქრისტეს ცხოვრება სამარადისო შარავანდედით შემოსა.., მაგრამ სიცოცხლეში არ მომასვენეთ, სიკვდილს შემდეგ მაინც თავი დამანებეთ და გამათავისუფლეთ თქვენი იარლიკებისაგანო.

ჩემს ლექციას არათუ ,,პარტიული განგაშის ხასიათი'', ვიწრო-პარტიული გამოკამათების ელფერიც არა ქონია. სამადლობელათ და სამაგიეროთ ,,მერცხალმა'' სწორეთ ,,პარტიული განგაშით აავსო'' თავისი რეცენზია.

ჩვენ არაოდეს არავის შევესევით, მაგრამ არავის მოვუთმენთ და ყოველთვის დავიცავთ ილიას სახელს ,,ინსინუაციებისაგან''. ყველა მის თაყვანისმცემლებს საკმაოთ გვაწევს კისრად ის ცოდვა, რომ მას სიცოცხლეში არ ვიცავდით უსამართლო დევნისაგან. სიკვდილს შემდეგ კი ძველ ,,ლათაიებს'' უპასუხოთ ვეღარავინ გაიმეორებს... და ყოველთვის ავღნიშნავთ, როცა ს.-დ-ები ,,შემოპარებას'' მოინდომებენ.

თვარა გულდანდობილი ვიტყვი— ,,რ''-ებისთანა ვაჟბატონების აზრს ილიას შესახებ ახლო, მგონია, ,,მერცხლის'' ბუდეშიც აღარ აქვს გასავალი.

კოტე აბაშიძე.

# ახალი ამბავი.

წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილებამ დაადგინა განსაკუთრებული თანამდებობა დაარსოს წიგნ-საცავ-სამკითხველოს მეთვალყურისა და ამ ადგილზე თავისუფალი პირი მოიწვიოს, რომელიც გამგეობის მიერ შედგენილი ინსტრუქციით გაუძღვება ამ საქმეს. ამ თანამდებობაზე ამ მოკლე ხანში უნდა იქნას დანიშნული პირი წელიწადში 600 მან. ჯამაგირით.

✦ მომავალ 4 იანვარს ქუთაისის ღარიბ ბავშთათვის მზრუნველი საზოგადოების გამგეობა ადგილობრივ თეატრის დარბაზში შობის ხეს მოაწყობს და ღარიბ ბავშებს ტკბმლეულსა და ტანისამოსს დაურიგებს.

✦ მსახიობ ქალის მ. მდივნის ასულს ავათმყოფობის გამო 28 დეკემბრის ქართული წარმოდგენა გადაიდო.

✦ მომავალ 10 იანვარს მარტოხელი ადამიანი მიემგზავრება ჟენევას (შვეიცარიაში) და დაეძებს თანამგზავრს. თუ ვინმეა ასეთი მგზავრი, უმორჩილესათ სთხოვენ ,,იმერეთის'' რედაქციას აცნობონ.

✦ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს დ. მესხს პასუხის გებაში აძლევენ. დავით კოსტანტინეს ძეს მესხს ცხრაას ექვსში გამოუცია ნათარგმნი ზღაპარი:—,,ვინ ჩაგრავს გლეხს.'' ამ გვარი-ვე ზღაპარი

# ერთი დრამის ეპილოგი.

ეს ძლიერ ძველი და ძლიერ ჩვეულებრივი ამბავია. ჰეინეც კი იმღეროდა ასეთს რამეზე: ქალ-ვაჟს ერთმანერთი უყვარდა; მაგრამ ქალი... რა ვიცი რა დიემართა ქალს!.. ღმერთმა იცის ქალის გზა და კვალი!... ვაჟი სხვამ შეიყვარა. ვაჟს იგი სხვა არ უყვარდა მაგრამ მოხიბლული იყო სახის სილამაზით, თვალთა სიღრმავით, ხმის სინარნარით, სულის სინაზით.

1.

სქელ ჩრდილიან პარკიდან გამოვიდა ვაჟი. იგი თვალს აყოლებდა მიმავალ დიდ ხომალდს და ფიქრობდა: ნეტავი იმათ!... მიდიან, სადღაც შორს... მოგზაურობის დროს, თითქოს კანს იცვლის სული. ახლა ჩილიში ან ინდოეთში წამოიყვანა, შეიძლება...

— ახსენი ნავი!—გადაძახა ნაპირიდან მენავს, რომელიც სთვლემდა და თან იმღეროდა, რაღაც ამ გვარს:

ლურჯი ფერი ქონდა ზღვას; ლურჯი თვალი ქონდა ქალს; დავენდე მათ სიტყვას—ნავი მივეც ნიავ-ქარს.

***

აბობოქრდა ჩვენი ზღვა, გამიანჩხლდა გოგონა. ნავი სრულად დამემსხვრა-თავი მკვდარიც მეგონა.

***

მოიწმინდა ისევცა; დაჩუმდა ზღვის ღრიალი; ნაპირს ზვირთმა გამრიყა; იქვე იჯდა ცქრიალა, იმღეროდა ნელა-ნელა.

***

მას მერე არ ვენდობი: არც ლურჯ ცას, არც წყნარ ზღვას; მას მერე ვერიდები თვალჟუჟუნათა წრეს.

***

ნაპირს მოადგა ახალგაზდა ქალი.

— მეტი არ არის ნავი?

— არა, ქალბატონო!

— საწყენია—ქინიანათ სთქვა ქალმა და ბავშურათ დამანჭა სახე: წარბები შეხუშა, ტუჩები წამოზიდა და ცხვირი შეაძრია.

— აქ დამიცადეთ... ახლავე მოვალ გავასეირნებ ბატონს და გეახლებით ერთ სუთში.

— ქალბატონო!—მოუბრუნდა ვაჟი ქალს—ნავი დიდია მოვთავსთებით, თუ გნებავთ.

ქალი ყოყმანობდა.

— ...თქვენ ვერ დაგიშლით ხელს და მეც ვეცთები, ჩემი არსებობა არ მოგაგონოთ... აქ აგარაკია, ნუ გერიდებათ..

უკანასკნელმა შენიშვნამ წააქეზა, თუ ყმაწვილის ტკბილმა ხმამ იმოქმედა, ქალმა საშველად გამოწვდილ ვაჟის ხელს ხელი მოკიდა და მარდათ ჩახტა ნავში.

— დღეს ჩამოვედით.. პირველათ ვხედავ ზღვას და მინდა ზღვაზე სეირნობაც ვსინჯო—მოიბოდიშა ქალი.

მენავე მარდათ უსობდა ნიჩბებს:

ვაჟს საჭე პირდაპირ, გაუხსნელათ ეჭირა.

დაიკარგა სახლები; იკარგებოდა კოშკი. ზღვის სივრცეს ემტებოდა ხმელეთი, რომელსაც ღია ლურჯი ფერი გადაედვა. შორს ვით ჩრდილი მოსჩანდა მთები.

მენავემ ძალზე ერთი ორი მოუსვა; მერე ნიჩბები ფრთებივით ზე აკეცა; ნავი თითქმის არ ტორტმანობდა.

ვაჟი მკლავით დაყრდნობოდა საჭეს, ქილოფის ქუდი მოეხადა და თვალხილული თითქმის სთვლემდა.

ქალი თვალგაფიციცებული აქეთ-იქით იცქირებოდა თითქოს რასმე ეძებსო.

— რა უსაზღვრო სივრცეა!—ვერ მოითმინა ქალმა:

— ზღვა თქვენს თვალებზე უფრო ვრცელი არ არის—ისე სადათ უპასუხა ვაჟმა, რომ ქალი არც კი შემკრთალა. ქალს ქათინაურათაც არ მიუღია ეს სიტყვები.

— რა განცხრომაა და სალმუნება!

— იცით, თქვენ ზღვის ზვირთებზე უფრო ნაზი ხართ.

— რა ძლიერია, თვითნება და შიშის აღმძვრელი!

— როგორ ბობოქრობს ეგ თქვენი მკერდი, თქვენი გულის თქმა გრიგალქარზე უფრო ძლიერია.

— თქვენ სულ ჩემზე ლაპარაკობთ— თითქმის წყენით, თითქოს წყენით, მგონი, წყენით უპასუხა ქალმა; მერე მიუბრუნდა მენავეს და უბრძანა:

წადით პარკისკენ!

— ნუ გამირისხდებით! დამერწმუნეთ, თქვენი შეურაცყოფა არ მსურებია. მე მხოლოდ ვფიქრობ... ხმა მაღლა.

2.

ორივე სხედან ჩაფიქრებული.

შემოდგომაა. დამჭკნარი, გაყვითლებული ფოთოლი სცვივა და ოქროს თოვლად ეფინება მიტოვებულ ბაღის სილით მოყრილ გზებს. დაღონებულ მიწას მიბნედილი მთვარე მოწყენით დაცქერის. მოწმენდილ მუქ ცაზე. მკრთლად ციმციმებს ვარსკვლავები. გაცრცვილ შტოთა შორის გამოკრთის მბჟუტავი ლამპები. ოდნავ ცივა.

მთელი ბუნება არე და მარე ბურუსში ახვევს ადამიანის სულს, თვალს გვრის ძილს და გონებას სიოცნებოთ ამზადებს.

სიჩუმეა გრძელი, ვით მარტოობა.

— რათ არას იტყვით, რათ მოგიწყენიათ?—ეკითხება ქალი ვაჟს.

— სიკვდილს ვუყურებ, მისი მეფობა მადუმებს.

— მაგრამ არის რამ, რაც არა კვდება?.

— მეც ისე მწამდა, მაგრამ შემცთარვარ.

...მეგონა,—ადამიანის სული ეძებს სხვა ათასის შორის თავის მონათესავე სულს. მეგონა—რა ნახავს სული მოკავშირე სულს, არ დაშორდება იგი არაოდეს. და ეს კავშირი მეჩვენებოდა უკუნიდან წარმომდგარი ძალათ, რომელიც უკუნისამდი სცოცხლობს... შევცთი...

ორივე დიდხანს იჯდა მდუმარე მოდუნებული.

— ასეთს იარას ვერა რა არჩენს?..

— ერთადერთია მისი წამალი.

— მაშ მითხარი... სიამოვნებით თავს გადავდებ... შენ შემოგწირავ ნეტარების ალს, მწუხარებისა შემხუთველ ყინვას...

— ... ცოცხლივ სიკვდილი.—

— ეს რაღას ნიშნავს?..

— ჯერ ყმაწვილი ხართ... მერე გაიგებთ...

სიჩუმე გძელი, როგორც სიკვდილი.

... როცა უნებლიეთ წარმომიდგება მისი მშვენიერი, შავი თმით შემოსილი თავი, ხელზე ლმობიერათ დაყრდნობილი, მგონია, თვით ნარგიზი, ია და ვარდი ფერად თაიგულათ შეკონილი ვისმე ჩაუდგამს თეთრს თლილ მარმარილოს ყელ-კისერში-თქო... და ეს თეთრი ხელმკლავი, ვით მიმცურავი გედისა ყელი და ეს ნატყორცნი ისრები—ვით ნაქანდაკები თითები შემოეხვევა უხეშს, ტლანქს, მოზვერივით სხვილ, მოწითალო და ოდნავ დანაოჭებულ კისერს!!. ამ თითებით დახჩობას ნეტარებათ მივიღებდი... წარმოვიდგენ, თუ როგორ ეხება ამ ბროწეულის კუკურს, ბაგეს რომ ეძახიან, ღლავის, ყურიდან-ყურამდი გაჭრილი პირი... ეს ტევრი თმა გიშრათ მბწყინავი შეუერთდება ქლალ-გარეულს, ნაღებავს ძაგარას!—ოცნებით გამოწვეული სურათი ღრღნის უხმოთ ჩემს გულს და კვნესა ენას ვერა სცილდება... მე ვიტანჯები—ის მეცოდება... ნეტავი ისიც თუ იტანჯება და ჩემებრ ნეტავი თუ ვეცოდები?..

სიჩუმე გძელი, ვით ტანჯვა ქვეყნის...

— მაინც რა გიშველიდათ?

— ცოცხლათ სიკვდილი... თუ მოვკვდი მხოლოდ ხორცით, იქ სული დასევდიანებული იქნება—ვერ დაივიწყებს იგი,

უთარგმნია დავ. სიმ—ძეს მესხსაც, ხოლო იგი ნება დართულია მაშინდელი ცენზორის მიერ. პირველათ დ. ს. მესხმა თფ. სასამართლო პალატის მიერ შემდგარი საბრალმდებლო ოქმმ არ მიიღო ამ საბუთით, რომ იგი დავ. კონსტანტინეს ძეზე იყო შემდგარი. მას მოსთხოვეს პიროვნების მოწმობა და ქაღალდები უკანვე დააბრუნეს მაგრამ ახლა ხელახლავ დავით სიმონასძეს აბარებენ დავით კონსტანტიენს ძის ოქმს და 500 მან. საწინდარს სთხოვენ, ან ციხეში უნდა ჩაჯდეს საქმის გარჩევამდი.

✦ ოთხშაბათს, 26 დეკემბერს ხონში ილიას სალამოს სუცხოვოთ ჩაუვლია. ხონელებს იშვიათად უნახავთ ასეთი შინაარსიანი და ბევრის მხრით საგულისხმო სალამო. სალამოზე მიწვეული ყოფილან სხვათა შორის კიტა აბაშიძე და ალ. გარსევანიშვილი, რომელთაც თავიანთი ლექციებით სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენიათ: ლექსები წაუკითხავთ: ბ.ბ. ალ. ჭიჭინაძეს, პ. ჩხიკვიშვილს, ი. ბახტაძეს, ცვარ-ნამს; ყოფილა მუსიკალური განყოფილება და წარმოუდგენიათ—,,დედა და შვილი''. დიდძალი საზოგადოება დამტკბარი დაშლილა გვიან სალამოს. წარმოდგენის შემდეგ საზოგადოებას მხიარული ნადიმი გაუმართავს უცხო სტუმრებისათვის.

✦ ხონის სამკითხველოს საბავშო ჟურნალები ,,ნაკადული'' და ''ჯეჯილი'' არა აქვს გამოწერილი და მომავალი წლიდან რო მაინც გამოიწერდენ, სასარგებლო იქნებაო, გვწერენ ხონიდან.

✦ 26 დეკემბერს ორპირის ქუჩაზე ჭიჭიკო ვარდოსანიძის სავაჭრო გაცარცვეს. წაიღეს როგორც ნივთები, ისე ფული. ვერავინ შეიპყრეს.

✦ ნ. თავდგირიძის ქვრივს აკეთის საზოგადოებისათვის 90 ქცევა მიწა შეუწირავს. შემწირველს გაუცხადებია სურვილი, რომ ამ მიწაზე სასოფლო-სამეურნეო შკოლა გაიხსნას. შკოლის ნებართვა უკვე ყოფილა. ხაზინიდან ამ შკოლას 2,360 მანეთი მიეცემა წლიურათო.

✦ თფილისში პირველი იანვრიდან რუსული პედაგოგიური ყოველთვიური ჟურნალი გამოდის.

✦ ზუბალაშვილისა და ნ. ლოლობერიძის თავისუფალი სტიპენდიების მისაღებათ 143 თხოვნა შესულა. მავარი გამგეობა წ. კ. ს.-სა 27 დეკემბრიდან შედგომია თხოვნების განხილვას.

✦ ამას წინათ სოხუმში გაიტაცეს აქიმი მაერევიჩი და 20,000 მან. თხოვდენ გამოსაყიდათ. დღეს აქიმი გაუთავისუფლებიათ, ,,ს. გ.''-ის სიტყვით, და იგი ფეხით ჩასულა ღამით ახალ-ათონს.

✦ თფილისში გადაცვლილა კავკ. სასოფლო-მეურნეობის ინსპეკტორი ი. კ. ვასილიევი.

✦ იაკობ გოგებაშვილის ფონდისათვის ,,სახ. გაზეთის'' რედაქციაში შეგროვილა 986 მ. 2 შ.

✦ პროფესორმა გრედესკულმა ქ. შ. წ. კ. გ. ს-ის სასარგებლოთ გუშინ 28 დეკემბერს ლექცია წაიკითხა თფ. ქართულ თეატრში.

✦ 22 დეკემბერს სალამოს ქიათურის შავი-ქვის საბჭოში მოსამსახურე დარაჯი ნიკიფორე დათეშიძე დ. ამბროლაურში გამგზავრებულა. აჭარის ხიდთან რომ მისულა, ერთი მარხილიდან მეორეში გადამჯდარა და პირველში დარჩენია ტყავის ჩემოდანი, რომელშიც ქონია: სამხედრო ნამსახურობის ბილეთი, საპენსიო ბილეთი, ჯვრის საპენსიო წიგნაკი, პოლკიდან მიცემული ატესტატი და სხვა საბუთები. ჩამადანშივე ქონია სხვა წვრიმალი ნივთიც, ღირებული 35 მანეთამდი. დათეშიძე სთხოვს მნახველს მიიტანოს დ. ამბროლაურში მელიტონ ჭელიძესთან, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

## დ. ქლენტის სიკვდილის გამო.

დორპატის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს საერთო კრებაზე შემოიტანეს საკითხი, რომ საზოგადოებისთვის ნათელვყოთ განსვენებული დათიკო ქლენტის თვითმკვლელობა და ამით ფრთები შეეკვეცათ ათასგვარი უმზგავსო ჭორებისათვის. ამ მიზნით კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, სამი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა სიმართლით და დაწვრილებით აღენიშნა ამ შემაძრწუნებელი თვითმკვლელობის ფაკტი. ეს კომისია, თანახმათ დავალებისა, მაშინვე შეუდგა საქმის გამოძიებას. დაკითხა თითოეულათ იმ პირთ, რომელნიც იმ დროს თვითმკვლელობის მოწმენი იყვენ და საქმე ამგვარათ გამოირკვა:

18 ნოემბერს კავკასიური საზოგადოების მიერ გამართულ სალამოზე დირიჟორათ მიპატიჟებული იყო დათიკო ქლენტი. სალამოზე ბლომათ იყვენ ქართველი სტუდენტები. ამ ღამეს განსვენებულს მეტი მხიარულება და აფრთოვანება ეტყობოდა და ჩინებულათაც ჩაატარა ცეკვა. იქ მყოფმა საზოგადოებამ ტაშისცემითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვა ის. ცეკვის გათავებას შემდეგ და კიდევ უფრო ადრეც მეორე დიდ ოთახში რამდენიმე ქართული სუფრა გაიმართა, დათიკო ქლენტმა მიიწვია ვარლამ იმნაძე და ერთი ამხანაგი და იმავე ოთახში სუფრაზე დაჯდენ. იქვე ახლო სუფრაზე კიდევ რამდენიმე ქართველი სტუდენტი იჯდა. ამ ორ სუფრაზე რამდენიმე საერთო სადღეგძელო გაიმართა. ერთ სადღეგძელოს დროს დათიკომ მეორე სუფრისკენ ჭიქა გადაისროლა. ამის გამომწვევი მიზეზი, მოწმეების ჩვენებით მეორე სუფრაზე მჯდომი ზოგიერთი ამხანაგის ყურადღების მიუქცევლობა იყო. ჭიქის გადმოსროლამ უკმაყოფილება გამოიწვია და რამდენიმე ამხანაგმა დათიკოს საყვედურის კილოთი მიმართა; სულ მალე ყველა დაწყნარდა. ამ ხანში დათიკოსთან მივიდა მეორე სუფრის ერთი არამუდმივი წევრი ჭიქის ნატეხით ხელში. მისთვის უკვე გადაეცათ მომხთარი ამბავი. მან ასეთი სიტყვებით მიმართა დათიკოს: „რა ამბავში ხარ, რას ჩადიხარ, შენი საქციელით შეურაცყოფილია ქალიცა და ჩვენცო“. ამაზე დათიკომ უპასუხა:

—„მე არავის შეურაცყოფა არ მინდოდა, ალაგი ვნახე და ჭიქა გადავისროლეო“. ამას მოყვა ამ ამხანაგის მიერ გარტყმევა. ამ დროს იქ მყოფი ვარლამ იმნაძე შუაში ჩავარდა. დათიკომ რევოლვერზე ხელი იტაცა; ვარლამ იმნაძე ხელში ეტაკა და ის იყო რევოლვერიც გავარდა. ზოგიერთი მოწმის ჩვენებით, რევოლვერი ჯიბიდანვე გასროლილი. (ამას კიდევ უფრო ის მოწმობს, რომ მიცვალებულის მარჯვენა ჯიბა ტყვიით იყო გახვრეტილი). გამოსროლილი ტყვიით ვარლამ იმნაძე დაიჭრა ფეხში. ყველა მოცვინდა და მოჩხუბრები აქეთ-იქით გაიყვანეს. ვარლამის დაჭრამ ამხანაგებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ვარლამი კი იძახოდა:—„მე არაფერი მიჭირს, დათიკოს მიხედეთო“. ამხანაგების აშფოთებამ თანდათან იკლო და დაახლოებული ამხანაგები დათიკოს ბინაზე წაყვანას ემზადებოდენ, რომ მეორეთაც მოისმა რევოლვერის ხმა. უკანასკნელათ მასთან მყოფი ამხანაგი ამას მოგვითხრობს აწ განსვენებულის თავგანწირვის შესახებ: „მე ვეხვეწებოდი, რომ რევოლვერი გადმოეცა და ის თითქმის მზათ იყო ჩემი სურვილი აესრულებია, რომ ოთახში კიდევ შემოისმა ხმა: „შეხედე, ვარლამი დაიჭრაო“. ამის გაგონებაზე დათიკო ისევ აენთო და თითქმის გრძნობა არეულმა წამოიძახა: „я сам должен смыть с себя этот позор''-ო და მარდათ შეტრიალდა. შევეცადე რევოლვერში ვცემოდი, მაგრამ თვალის დახამხამებაში გულში რევოლვერი დაიცა. ისღა დამრჩა, რომ კლავი შეუშვირე და ზედ უღონოთ დამეცაო''.

რევოლვერის ხმაზე სხვა ამხანაგებიც შეცვინდენ და მხოლოდ რევოლვერის ხელიდან გავარდნას და უკანასკნელის „ვაის“ ამოძახილს მიუსწრეს.

ასეთი იყო თვითმკვლელობის სურათიი

| | |
|---|---|
| კომისიის წევრები | მამანტი გრძიძე<br>კარპეზ ბერიძე<br>პლატონ კვირკელია. |

ამ წერილს დორპატის ქართული სათვისტომოს გამგეობის ბეჭედი აქვს დაკრული.

## უნებური თვითმკვლელობა.

(დათიკო ქლენტის თვითმკვლელობის გამო),

„ძნელი არის მარტოობა სულისა“.

ნ. ბ.

ვინც კი იცნობდა განსვენებულ დათიკო ქლენტს, განა დაიჯერებს, რომ დათიკო, რომელიც მუდამ მოძრავსა და მკვირცხლ ახალგაზდას წარმოადგენდა, თავს მოიკლავდა?! ყველა მისი ნაცნობი უთუოთ იტყვის: არა, დათიკოს სიცოცხლე უნდოდა, მას სიცოცხლე სწყუროდათ. დიახ, დათიკოს სიცოცხლე სწყუროდა, უნდოდა ცხოვრების უღელში შებმულიყო და შეძლებისამებრ ებრძოლა. მაგრამ გარშემო მყოფმა ქართველმა ამხანაგობამ მას სიცოცხლე უდროოთ მოუსწრაფა.

დათიკომ, თავისი ამხანაგების უმრავლესობისაგან განდევნილმა და უმიზეზოთ გაკიცხულმა, თავი ვერსად შეაფარა. მას ერთადერთი ნუგეში დარჩა: ეს იყო ამხანაგების სულ მცირე რიცხვი, რომელთაც ის უზიარებდა თავის გულისთქმას. მაგრამ ეს ვერ დააკმაყოფილებდა მის ფართო ბუნებას. ვინც ცოტათი მაინც კი დააკვირდებოდა აწგანსვენებულის ცხოვრებას, თვალს გადაავლებდა უკანასკნელთან ამხანაგების დამოკიდებულებას, სწორეთ რომ შესაცოდებელი სურათი დაუდგებოდა თვალწინ.

თამამათ ვამბობ, რომ ამხანაგების უმრავლესობა ყოველ მის მოქმედებას დასცინოდა, ყოველ მის ნათქვამს კილავდა, თუმცა ყველა კარგათ ხედავდა, თუ როგორ მოქმედებდა განსვენებულზე ამგვარი მათი ქცევა. ყველა კარგათ ხედავდა, თუ რა სულიერ ტანჯვას განიცდიდა დათიკო; მაგრამ მაინც არ მოეშვენ.

მიპასუხეთ: განა ღირსი იყო ყველა ამისა დათიკო?!

ყველას კარგათ გახსოვთ მისი სათვისტომოში ყოფნა და დაუღალავი შრომა, გახსოვთ აგრეთვე მისი წერილები გაზეთების ფურცლებზე სათვისტომოსვე ინტერესების დასაცავათ. იცით აგრეთვე თუ რა წმინდათა წმინდათ მიაჩნდა მას ქართული სათვისტომო. წაიკითხეთ მისი განცხადება სათვისტომოს ოქმებში: „საუბედუროთ, იძულებული ვარ სათვისტომოს თავი დავანებო, თუმცა ძალიან მენათესავება მისი იდეაო“. ყველამ კარგათ იცოდით, თუ რამ აიძულა დათიკო, რომ სათვისტომოსთვის თავი დაენებებია, მაგრამ ამ მიზეზებს არა თუ აქარწყლებდით, არამედ კიდევ უფრო ზრდიდით. მას მიატოვებიეთ სათვისტომო და ამით თითქო განზრახ ჩამოაცალეთ საშვალება, რომ თავის საყვარელ საგანზე ეზრუნა. ყველა კარგათ გრძნობდა მისგან მოტანილ სარგებლობას, ყველა კარგათ ხედავდა მასში გულკეთილსა და ამხანაგთ მოყვარე ახალგაზდას, მაგრამ მაგრამ მაინც დასცინოდენ მას.

თითქო ყველაფერმა მის წინაალმდეგ გაილაშქრა.

სიყვარულმაც სიტკბოების ნაცვლათ, გამოუთქმელი და შეუდარებელი ტანჯვა არგუნა განსვენებულს და ისეთ ადამიანს, რომელსაც თავის დღეში კაცის მოკვლაზე ენა არ დაუძრავს, ხელში იარაღიც კი აღებია.

ამ შემთხვევაშიც ბევრი მისი ამხანაგი ხელის გაწოდების მაგიერ, დაცინვით ასაჩუქრებდა.

სწორეთ ამ ხნიდან ის რჩება მარტო, „განდევნილი, ოხვრა კვნესით სავსე, გრძნობა გონება გათოშილი, სკეპტიციზმითა“ და უნდობლობით დატანჯული. ამ ხნიდან განსვენებულს სულ სხვა მორევში შეცურება ეტყობოდა. მისგან ხშირათ გაიგონებდით თვითმკვლელობაზე საუბარს, მისი სული მწუხარე და [illegible] ხშირათ [illegible] ხშირათ შეტოპავდა მწარე ფიქრთა მორევში...

ამ ბედში მყოფი დათიკოც არ ჩამოუვარდებოდა მის ამხანაგებს და მედგრათ ეწეოდა ცხოვრების უღელს, სანამ სულ არ მოსწყდა წუთისოფელს. უკანასკნელი შემთხვევა შეიძლება არ კმარებულიყო, რომ დათიკოს თავი მოეკლა, მაგრამ ამდენი ხნის გულში დაგუბებულ ნაღველს ესეც დაემატა—და საბრალომ თავი გაიწირა.

ყველა მიხვდება, თუ რა სასტიკათ სჯიდა აწ განსვენებული თავის თავს ყოველი ყალბი ნაბიჯისათვის. ამას ნათლათ ლაღადებს მისი უკანასკნელი სიტყვები:*) მან სისაძაგლეთ ჩათვალა ამხანაგის უცაბედათ დაჭრა—და ტყვიით გული გაიგმირა.

გულწრფელათ უნდა ავღიარო, რომ დათიკოს ამგვარი თვითმკვლელობის მიზეზი ჩვენა ვართ, ჩვენ დორპატელი მისი ამხანაგები, და ჩვენ გვადევს ხარკათ სამშობლოსაგან ერთი საუკეთესო მუშაკის ჩამოცილება.

შეიძლება ბევრ რამეში ცთებოდა განსვენებული, მაგრამ მან თავისი შეცთომები სიკვდილით შეინანია; ჩვენ კი ჩვენს დანაშაულს რით ვინანიებთ?.. რატომ მაინცდამაინც ჩვენში ხდება ასეთი ამბავი? ნუ დაგვავიწყდებათ, რომ წელიწადნახევარში დორპატში სამი სიცოცხლით სავსე ახალგაზდა მოიკვეცა ცხოვრებისაგან, და, სანამ ასეთი იქნება ჩვენი ცხოვრება, ამგვარი სხვერპლი არ აგვცილდება.

კარპეზ ბერიძე.

ქ. დორპატი.

## სამი საგულისხმო წერილი.

I

ბ. რედაკტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის მე-74 ნუმერში მოთავსებულია ბ-ნ სამსონ მატრონაშვილის წერილი:—„სამშობლო ენა, პედაგოგიკა და ჩვენი მასწავლებლები“, რომელშიც ნათქვამია: „ქართული ენა უარყოფილია ბათომის ოლქის ყველა შკოლებში ბ-ნ ტერგასპაროვის წყალობით, გარდა აჭარაწყალის შკოლისა, სადაც მოღვაწეობს ტერგასპაროვის ერთი მებრძოლთაგანი დიდათ პატივცემული გ. ახვლედიანი“.

ჩემდა საუბედუროთ ღირსი არ ვიქნები თუ კი რამე შემეძლო მეშრომა და მეღვაწა ასეთი დიადი სამსახურით. ვეჩოთირე ტერგასპაროვს თვალში, ეჩოთირა მას ჩემი შკოლაც და ორივე გაგვაუბედურა: მე სამსახურიდან დამითხოვა და შკოლას კი სამშობლო ენა ჩამოაცალა.

ერთად-ერთი ჩემი შკოლა იყო, რომელიც 81 წლის პლანით მუშაობდა. დღეს მთელი ბათომის ოლქის შკოლებში არსად სამშობლო ენაზე კრინტი არ იძვრის.

**გიორგი ახვლედიანი**

—

ბ-ნო რედაკტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ ნუმერში მოათავსოთ ეს ჩვენი განცხადება:

მიუხედავათ იმისა, რომ გამგეებმა თავის წერილში ნათლად აღნიშნეს ჩვენი განწყობილება ჩვენს შკოლებში მომხდარი ინცინდენტისადმი, თქვენი გაზეთი (მე-73 №-ში) მაინც მასწავლებელთა აზრს თხოულობს. ამისთვის, საჭიროთ მიგვაჩნია, საზოგადოების საყურადღებოთ აღვიაროთ, რომ წინააღმდეგი ვიყავით და ახლაც შეუძლებლათ მიგვაჩნია ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობის უკანონო მოთხოვნილების შესრულება. ჩვენ ისიც გულს გვიკლავს, რომ ჩვენი ამხანაგები-სოფლის მასწავლებელნი ძალდატანებით კანონიერ გზას აცთინეს და სალი პედაგოგიის მოთხოვნილების წინაალმდეგ, 81 წლის პლანი შკოლებიდან განდევნეს და თვით ჩვენ ხომ მთელი ჩვენი არსებით, რასაკვირველია, ვეწინაალმდეგებით ამას.

**ქალთა პირველ დაწყებითი შკოლის მასწავლებელნი ქალნი**

—

ბ. რედაკტორო! გთხოვთ ეს წერილი დაგვისტამბოთ:

ყბათ აღებული 81 წ. სასწ. პლანი, რასაკვირველია, დაშორებით ვერ აკმაყოფილებს პედაგოგიის ანბანურ ჭეშმარიტებას და ჩვენთვის ახლა ესეც შეშურთ. მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წელს მახლობელმა სამოსწავლო მთავრობამ იეროში მიიტანა ქალაქის პირველ დაწყებით შკოლებზე, რომელსაც, სამწუხაროთ, სამმა გამგემ ველარ გაუძლო. ჩვენ მთელი ჩვენი არსებით წინაალმდეგი ვიყავით

*) მე თვითონ უნდა გავიწმინდო თავი ჩემი ამ სამარცხვინო საქციელისგანო.

---

## რ ა თ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ?

ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებ, ჩემს სიცოცხლეს მაგ შავ თვალებს
ტურფა წამწამს დავუკოცნი მაგ უღრანი მთის ნაპრალებს...
შენ მიყვარხარ, ჩემო კარგო, შენ მიყვარხარ ჩემო ტურფა!
გულის კვნესა, სულის ოხვრა შენს სუნთქვაში გაიფურჩქნა!..

რათ მიყვარხარ ასე ძლიერ, რათ მიყვარხარ, ჩემო სულო,
ჩემი გულის ორ ფიცარზე ნათელ სხივათ ამოსულო?
რათ მიყვარხარ ასე ძლიერ, რათ მიყვარხარ, რათ არ მძულხარ?
ჩემთ თვალთა წინ ნათლის სვეტათ, მითხარ, რისთვის ამართულხარ?..

გუცა.

---

რომ იქ ხარცს, მის დიდიხნის მეგობარს, ქონდა იმედი, სასოება, სწამდა, რომ ნაწილი ბედნიერებისა უნდა რგებოდა საერთო მეჯლისში. მაგრამ რო მოვახერხებდე აქვე მოვკვდე ცოცხლივ, დავკარგო სასოება და იმედი, მივეცე ცხოვრების ტალღებს სათამაშო ფირფიტათ, არ გავანძრიო ხელი... ვით ნაფოტი დიდის ხისა ავყვე მდინარეს უსაქოთ უიალქნოთ,—მაშინ კი, მაშინ დამშვიდდება სხეული, თავს შეიკრავს იარა... არ შემიძლია!.. სჩქეფს ისევ სისხლი, იმედის ნაპერწკალი მატოქებს, ნაშუქი სხივი მოსალოდნელი ბედნიერებისა ჯერ არ გამქრალა და მიბნელებს თვალებს... გულს ხუმათ ღრღნის და ღრღნის მოგონება...

ქალი ნელა უხმოთ ტირის...

ვაჟი ამჩნევს.

სიჩუმე გძელი, ვითა ალერსი.

3.

მცენარეებით შებურვილი აგარაკი განმარტოებით იდგა.

ქალის ოთახის სარკმელი ზღვას გადაყურებდა.

ქალი ხშირათ ტალღების ხმას ააყოლებდა იდუმალ ფიქრს.

ტყუილათ ვფიქრობ, თითქოს იცოდეს
უსიტყვოთ ჩემი მან ალსარება;
სულისა თრთოლა, გულისა ძგერა
— არ გაეგება, არ გაეგება!..

4.

— რატომ არ მეკარებით ეს უკანასკნელი ხანია?—ეკითხება ქალი.

— უზომო თქვენდამი სიყვარულით...

— ?!— თვალები სიხარულით ელვარებს; ბაგენი სდუმან.

— ... მე მიყვარს თქვენთან ვიჯდე, გიცქიროთ თვალებში, ვსუნთქო ჰაერი, რომელიც თქვენ გეხებათ, ვგრძნობდე თქვენს სიწმინდეს, ვგრძნობდე თავს თავისუფლათ. მზის სხივის, მიწის ნოყიერების, სინესტის, ჰავის შეხამებაა საჭირო რომ ვარდი ყვაოდეს. მოვლა ყვავილის მე არ ვიცი, არც მომწონს ეს ხელობა; მე მხოლოდ ვეტრფი ყვავილის ფერს, მის სურნელებას, განსაკუთრებით კი მხიბლავს ვარდის ფოთლების ხავერდი. ამიტომ სჯობია შორს დაიჭირო თავი...

5.

ვაჟმა მიიღო შემდეგი მოკლე წერილი:

ყველა თქვენსავით არ აზროვნებს და თქვენ მიერ გაღმერთებული ქალივით ვერ იმოქმედებს.

ვაჟი შიშმა აიტანა. ბუნდოვან სიტყვებმა აგრძნობია, რაღაც ცუდი ამბის მომასწავებელი.

— მე ვარ, მე ყველაფერში დამნაშავე... ჩემ მიერ უმნიშვნელოთ ნათქვამი სიტყვები მას ზოგჯერ ისრათ ხვდებოდა, ზოგჯერ კი მალამოთ ევლინებოდა. —ფიქრობდა ვაჟი და თავისთავზე აბობოქრებული წყრომა საზარელ სურათს უხატავდა...

ზღვის ტალღები ქალს ეალერსება, ნაზათ ათამაშებს, სამარადისო ნანას — „სულთათანაგანისვენე“ სუგალობს; მთვარე მკრთალ შუქს ფენს, ვით უქრობი კელაპტარი; ფრთა-გაშლილი ანგელოზი ცაში, სამოთხისკენ მიაქროლებს უმანკო არსების უბიწო სულს...

ყმაწვილი წამოდგა. დინჯათ მიდიოდა, მიზანი გაზომილი ქონდა; აზრი დაშოშმინდა; გადაწყვეტილება შეუდრეკელი იყო. ჯიბეებში იწყობდა ქვას, მძიმესა და პრტყელ-პრტყელს, რომ ადვილათ არ ამოვარდნოდა. დინჯისავე ნაბიჯით შევიდა ზღვაში... წყალი წელზე სცემს, მკერდამდი მიწვდა... და ვაჟი ტყვიასავით წავიდა ძირისკენ... ჩვეულებრივი ლივ-ლივიც არ დაუწყია წყალს იქ, სადაც ადამიანმა გაათავა თვისი ტანჯული ცხოვრება...

6.

ორ თვეს შემდეგ წმინდა სანთლებით ოდნავ განათებულ საყდარში, აღსავლის კარების წინ იდგა ქალი და ვიღაც უკნობი ვაჟი; ღვდლის სამგზის დაკითხვაზე— გსურს თუ არა ამ ვაჟთან შეუღლებაო, ეკლესიამ გაიგონა ქალის მტკიცე, წყნარი და დარცხვენილი—ნასიამოვნები პასუხი:

მსურს!

ნ. დორთქიფანიძე.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, კოკოჩაშვილის სახლი.
ვაქვს პატივი ვაუწყო ქუთაისისა და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთაც, რომ ვინაიდან დიდძალი საქონელი მო მიგროვდა, ამა წლის 20 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ვნიშნავ არაჩვეულებრივ

# იაფ ვაჭრობას.

# ფ. ს. ფილიპოვიჩა

ყოველ საქონელზე, რაც ჩემს სავაჭროში აწყვია ფასი შეუვაჭრებლათ

ვაჭრობა ნაღდზე.

იმედია, საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს ჩემს სავაჭროს და, რო მობრძანდება, დარწმუნდება—რა იაფობაცაა იქ.

სავაჭრო სახლი
# ი. ბოკიელის შვ-ები
ქუთაისში.

27, 28, 29, 30, და 31, გაიყიდება ფერადათკომფექტებ დაკლებულ ფასებში.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913

# იმერეთი

წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ივნისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სოფლისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

ჩამოთვლილი პირობებით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში:

ქუთაისში—გაზ. იმერეთის კანტორაში, ივანოვის ქ., ჰილაძის სახლი; ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთში“—ისიდორე კვიცარიძესთან, ქალაქის ბაღის პირდაპირ; ამბროსი ხვინგიასთან, საბაკალეინო სავაჭროში (ღოლაძის მიდორზე) და თეთრი ხიდის თავში, მოვაჭრე ალიხანოვთან; ბაქოში—გრიგოლ ნიჟარაძესთან; ჭიათურაში—შილაკაძესთან, ფოთში—სიმონ ორაგველიძესთან, სამტრედიაში—ვ. ახობაძესთან, ზესტაფონში—ი. კაკაბაძესთან, ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან, სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან, ბათომში—გ. მახარაძესთან, ხაშურში—იოსებ ყაჭეიშვილთან, ხონში—წერა-კითხვის გ. ს. სევერიანე კაკაბაძესთან; დანზხუთში—ვ. კალანდაძესთან; სენაკში—ვ. კალანდაძესთან; აბაშაში—პლ. ლეჟავასთან; ჩოხატაურში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, ზუგდიდში—ნიკო ბერიძესთან და თფილისში—ჟურნალ-გაზეთების ბიუროსთან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михаиловичу Желадзе.
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ამ უკანონო მოთხოვნილების შესრულებისა და გამგეს ვურჩევდით მის სრულ უარყოფას და ამისთვის ყოველგვარ დახმარებას ვპირდებოდით.

შეოთხე შკოლის მასწავლებელნი: შ. კაკაბაძე, დ. მდივანი, დვდ. ზოს. ნემსიწვერიძე.

## ღია წერილი
### სიმონ ორაგველიძეს.

ბ-ლო სიმონ! უკვე გაგებული გექნებათ, რომ თქვენ დასახელებული ბძანდებით „ტინტილას“ მიერ რწმუნებულათ. თუ კი კისრულობთ ამ მონდობილობას, გთხოვთ მის მიერ დასახელებულ პირთ გამოუცხადოთ და საქმეს შეუდგეთ ლანჩხუთში. დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა ერთი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მე უფლება მექნება დავრწმუნდე, რომ „ტინტილა“-ს სურს საქმის „მიფუჩეჩება“ და მერე კი შესაფერი პასუხი მისადმი ჩემზე იყოს.

კოწია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ეს ანგარიში იმ საღამოსი, რომელიც გაიმართა ქუთაისის საკრებულო დარბაზში 9 დეკემბერს 1912 წ., ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების სასარგებლოთ.

ბილეთების გაყიდვიდან შემოვიდა—517 მ. 17 კ. ჩაის სუფრიდან, ყვავილებისა და პროგრამისაგან—224 მ. 55 კ. შემოწირული ფულათ 147 მ.

მთელი შემოსავალი—888 მ. 72 კ., ხარჯი იყო სულ—305 მან. და 72 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 583 მ.

ფულათ შემოსწირეს: გუბერნატორმა ა. ი. სლავოჩინსკიმ 15 მ., ვ. ნ. ალხოვსკიმ 10 მ., ვ. ი. აბრამოვიჩმა 10 მ., ა. ა. მაკაროვმა 5 მ., ვ. ლ. გამრეკლიძემ 5 მ., ლ. პ. კოკოჩაშვილმა 5 მ., დ. ა. ნაზაროვმა 5 მ., ვ. ნ. ალეევმა 5 მ., თავ. დ. კ. ნიჟარაძემ 5 მ., დ. შ. ხელთუფლიშვილმა 5 მან., თავ. ა ვ. ლორთქიფანიძემ 5 მ., ვ. კ. ალშიბაიამ 5 მ., გ. კ. ალშიბაიამ 5 მ., გ. ი. გველესიანმა 5 მ., სოფიო ა. იახნენკოსამ 3 მ., თავ. ვ. მ. ერისთავმა 3 მ., ს. ვ. ჯორჯიკიამ 3 მ., ს. გ. ტერტეროვმა 3 მ., თავ. ი. ზ. მელიქიშვილმა 3 მ., თავ. ბ. ა. მიქელაძემ 3 მ., ნინო ბ. ხელთუფლიშვილის ასულმა 3 მ., თავ. პ. ა. წერეთელმა 3 მ., მ. ლ. ლორთქიფანიძემ 3 მ., თავ. ფაღავამ 3 მ., გ. კ. აბაკელიამ 3 მ., ბარბალე ვოლსკის ქალმა 3 მ., თავ. წულუკიძის ასულმა ოლღამ 2 მ., დეკ. გ. პ. ცაგარეიშვილმა 2 მ., ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბამ 13 მან., 50 კ. და არტემ აგაჯანოვმა 3 მ. 50 კ.

გამგეობა დიდს მადლობას სწირავს ყველა შემომწირველთ, გორის პოლკის უფროსს, რომელმაც უფასოთ დაუთმო სამხედრო მუსიკა, მსახიობს თამარა—გრუზინსკაიას, ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბას და არტემ აგაჯანოვს და აგრეთვე ყველას, ვინც კი საღამოს მოწყობას ხელი გაუმართა.

მ. გ. ანჯაფარიძისა.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

ვკირას 23 დეკემბერს გამოვა ახლათ ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—60 კ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., მეოთხეზე—10 კ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ანდრონიკაშვილი ი., ახნაზაროვი არტემ, ამირაჯიბი გ., ანდრონიკაშვილი კ., გომართელი ი., გოთუა პ., გოგიჩაიშვილი ფ., გულისაშვილი ზ., გვაზავა გ., გუნია ვ., დუმბაძე დ., დავით ეპისკოპოსი ევდოშვილი, ვართაგავა ი., იოსელიანი ეგ., კასრაძე დ., მგალობლიშვილი ს., მესხი კ., ნატროშვილი ანტ., იასე რაჭველი, ჯანაშვილი მ., ყიფშიძე გრ., თუმანიშვილი კ., შალიკაშვილი ვალ. და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ „Закавказская Рѣчь“. Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.
გამომცემელნი { ერ. დ. გორდელაძე, მ. გაჩეჩილაძე.

ახლათგახსნილი სამანუფაქტ. მაღაზია
# გ. დ. კაჭკაჭოვისა.
(გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ).

საზოგადოების თხოვნით დიდ
# იაფ ვაჭრობას
ვაგძელებ 25 დეკემბრამდი.

სადაც გაიყიდება შალების, შალების, აბრეშუმების, ტილოებისა და ბამბეულობის მატერიები, მაგიდის თეთრეულები, ტიულის ფარდები და შეკერილი „რუბაშკები.“ ფასები ქარხნებისაა და მასთან უვაჭროთ. ვიმედობ, რომ პატივცემული საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას საქონლის სიაფეს და მით ისარგებლებს შემთხვევით

პატივისცემით გ. დ. კაჭკაჭოვი

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოსტატიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

# ძმ. ე. და პ. სააკაშვილების
## სავაჭროში, ქუთაისში.
(ბუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორკით“ „დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ დაჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები მალიან ცოტა არის მოსული.

# ალექსანდრე კოსტავას
## ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი ტანისამოსი 25% ნაკლებ იყიდება, რადგანაც სეზონი გადის და ბევრი ჩამოგვჩა. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტუმო მატერია კაცებისათვის.




# ფილიპე ნ. ჭელიძის
## შამპანიურ „თამარ მეფე“ და „გოლხიდა“



ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა
ქუთაისში მიცანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.
მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.